შაბათი, 1918 წ. აგვისტოს 17 № 149
წელიწადი მეორე

შაბათი, 1918 წ. აგვისტოს 17 № 149
ფ ა ს ი 40 კ ა პ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რ ე დ ა ქ ც ი ა.**

ს...ზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში ...ალი ...ლ უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კის-რულობს.

**რედაქცია ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

**კ ა ნ ტ ო რ ა.**

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** Кутаись, поч, ящикъ № 39. **ტელეფონი** № 76.

შაბათს, 17 აგვისტოს, 1918 წელს **ქალაქის ბაღში** განსაკუთრებული ნებართვით კომპოზიტორ **კოტე ფოცხვერაშვილის** მეთაურობით და მონაწილეობით ქართული სკოლების გამაეროვნებელ საშუალებათა სასარგებლოთ გაიმართება იშვიათ შინაარსიანი

## სახალხო განათლების დღეობა

დღეობაში მონაწილეობას მიიღებენ: მთელი დასავლეთ-საქართველოს სხვადასხვა კუთხის სახალხო ქალ-ვაჟი მასწავლებელნი, მრავალ რიცხოვანი მომღერალთა გუნდი, ქუთაისის ყველა მუსიკოსები, ქართველი და გერმანელი ჯარის სამხედრო ორკესტრები, სხვადასხვა ხალხური მომღერლები, ზურნა, მოცეკვავენი, მოხუმარენი და სხვანი. დღეობა გაიხსნება დიდის ზეიმით: **ნაშუადღევის ოთხ საათზე** ბაღის მთავარ კარებთან დაჰკრავენ სასკოლო ზარს, რის შემდეგ ორი წყება მებუკენი ქართველები და გერმანელები რიგ-რიგობით მომწოდებელ ბუკს დაუკრავენ. ამას მოჰყვება საგანგებოდ არჩეულ პედაგოგ-ორატორების სიტყვა. განმეორებითი მუსიკის შემდეგ ორი პატარა მოწაფე ქალ-ვაჟი ბაღის კარების ხლართულს გასჭრიან და სტუმრებს ბაღში მიიწვევენ. პირველად შევლენ ადგილობრივი მთავრობის და უცხო ერთა რჩეული პირები, შემდეგ პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენელნი, მერმე კულტურულ დაწესებულებათა დელეგატები, მოწაფეები, მასწავლებელნი და სხვანი. ბაღის შუაგულში შვიდი შეერთებული ორკესტრი ქალვაჟთა გუნდითურთ კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით შეასრულებს ქართულ ეროვნულ ჰიმნს, ლაშქრულს, ქართველი ერის ლოცვას და ქართულ მარშს. შემდეგ დაიწყება სხვადასხვა გასართობები: ბავშების და დიდების ცეკვა, ხალხური სიმღერა, ზურნა, სამხედრო მუსიკა და სხვანი. ლატარიაში მრავალი ძვირფასი ნივთია. ჩაი და ვახშამი სხვა ადგილებთან შედარებით ძვირი არ იქნება. ბაღში შესვლა ღირს საზოგადოდ ხუთი მანეთი. სამხედრო პირთათვის 3 მანეთი. ბავშთათვის ერთი მანეთი,

2—2

ქვრივი ალექსანდრა ლუკას ასული კუხიანიძისა, ივანე კუხიანიძე, ალექსი, სარდიონ, ბათლომე, კოსტა და მელიტონ მეუღლეებითურთ კუხიანიძეები, მინადორა ივანეს ასული ხადელიასა. ლუკა ბიჭიას ძე და მეუღლე მისი გუბელაძეები, რაჟდენ და მეუღლე მისი ვერა გუბელაძეები, აკვირინა, მარუსია და თინა გუბელაძეები, სიმონ პეტრეს ძე და მეუღლე მისი ნინო სვანაძეები, სოლომონ პავლეს ძე გუბელაძე, გულითა დის მწუხარებით გაუწყებენ რა გარდაცვალებასა პირველი საყვარელი მეუღლისა, მეორე დაუვიწყარი შვილისა, მესამენი და მეოთხე ძმისა მეხუთენი და მეექვსენი სიძისა მეშვიდენი ცოლიძმისა, მერვენი ქვისლისა ხოლო უკანასკნელი სიძისას

**ლუკა ივანეს ძე კუხიანიძისას**

უმორჩილესად გთხოვთ რათა პატივი სცეთ და მობრძანდეთ მიცვალებულის გამოსვენებაზე თავის საკუთარი სახლიდან ოლასკურის სასაფლაოზე 18 აგვისტოს (5 აგვისტოს ძველი სტილით) დღით კვირას დილის 9 საათზე ორპირის ქუჩაზე საკუთარი სახლი და მობძანებითა თქვენითა ანუგეშოთ მწუხარებასა შინა მყოფი ჭირისუფალი მისი. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე

2—1

ბეჟან დავითისძე და მეუღლე მისი ნინა ალექსანდრეს ასული შვილებით და ბიძა არჩილ დავითისძე წერეთლები განუსაზღვრელ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ გარდაცვალებას პირველნი ძვირფასი შვილის, მეორენი ძმის და მესამე ძმის-შვილის

**დავით ბეჟანის ძე წერეთლის**

დაკრძალვა მოხდება დაბა საჩხერეს შაბათს 17 მარიამობისთვეს

2—2

ობედური დედა გულჩინა გრიგოლ ერისთვის ასული ნიჟარაძისა და დაიკაკელა ანტონ ნიჟარაძის ასული აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ რომ კვირას 18 აგვისტოს (ახალი სტილით) დილის 11 საათზე გადახდილ იქნება საფიჩხიის ეკლესიაზე ორმოცის წირვა და პანაშვიდი

**დიმიტრი (ტიტიკო) ანტონის ძის ნიჟარაძის**

სულის მოსახსენებლათ

2—1

## სია № 2

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საეროზო კანდიდატებისა, ქ. ქუთაისიდან, ქუთაისის მაზრაში**

1. **წერეთელი** ვასილი გიორგის ძე—ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი, პუბლიცისტი, ექიმი, საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრი.
2. **ჯაფარიძე** ტრიფონ მიხეილის ძე—გაბრიელის ქალთა გიმნაზიის გამგე, პუბლიცისტი, პედაგოგი, ეთნოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე.
3. **ნაზაროვი** დიმიტრი ალექსანდრეს ძე—ექიმი, ექიმთა პროფესიონალურ კავშირის თავმჯდომარე.
4. **საყვარელიძე** ალექსანდრე სვიმონის ძე—საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, ნაფიცი ვექილი.
5. **თორაძე** ალექსანდრე დავითის ძე—პუბლიცისტი, პედაგოგი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
6. **ჩ...ოვანი** ილია მანუჩარის ძე—ქუთაისის სახაზინო პალატის უფროსი.
7. **ფალავანდიშვილი** ვასილ ივანეს ძე—საგუბერნიო აგრონომი.
8. **ელიგულაშვილი** აროն იაკობის ძე—კომერსანტი.
9. **პურადიშვილი** ივანე ისაკის ძე—აზოვ-დონის კომერციულ ბანკის ქუთ. განყოფილების გამგე, დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარე.
10. **ბარათაშვილი** გრიგოლ საჩინოს ძე—ნაფიცი ვექილი.
11. **ბასილაძე** ტროფიმე ლუკას ძე—კომერსანტი.
12. **დგებუაძე** გრიგოლ შერაბის ძე—მღებავი.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

აზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდათ ან უთავდებათ დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

## კვლავ არჩევნებისათვის.

ერობის არჩევნების შესახებ ჩვენ იმთავითვე გარკვეულ აზრს ვადექით. იმ საერთო გაუგებრობისა და არევ დარევის დროს, რომელშიც დღეს ჩვენ ვიმყოფებით შეუძლებელი იყო ნათლად გამორკვეული საკმაო ძალა მოქალაქისა, რომელიც ასე თუ ისე თავის გადამჭრელ სიტყვას იტყოდა ამ არჩევნების დროს და საჭიროთ ვთვლიდით მის გადადებას. ჩვენი წინადადება უარყოფილი იქნა, ხოლო ის ცნობები, რომელნიც პროვინციებიდან მოდის ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ შეხედულებას, რომელიც ჩვენ თავის დროზე წამოვაყენეთ.

ცხადზე უცხადესია მოქალაქეს დღეს ორ მოვლენასთან აქვს საქმე. პირველად ყოვლისა მის მოვალეობას შეადგენს სძლიოს ის აპატია და ინდიფერენტიზმი,

# დ ღ ე ს.

**წერილები.**

მეთაური — კიდევ არჩევნებისათვის

ფელეტონი — ჩვენი საერობო პოლიტიკა

**ცნობები.**

გერმანეთიდან ჩამოვიდა 200 ტყვე ქართველი ჯარის კაცი და ოფიცრები. ქ. ახალსენაკში პოლკ. სრესელმა საალყო წესები გამოაცხადა. შორაპნის მაზრაში საერობო არჩევნები სექტემბრისათვის გადიდო. ი. წერეთელი ზესტაფონში და სხვა

რომელიც თვალსაჩინოთ გამოსჭვრეტენ დღევანდელ არჩევნებში და მეორეს მხრივ თავის ხმის მიცემით გამოაჩინოს ცოდნა ჩვენი ცხოვრების გაკვეთილების

ველმა ხალხმა თავისი ბედის გეზი საქმიან ელემენტებისაკენ მიმართოს; ქართველმა მოქალაქემ სხვათა შორის საქართველოში ერობის განმტკიცების საქმეებიც

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო.

## მთავრობის მოქმედება.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით ფოსტა-ტელეგრაფის შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთათვის 50,000 მან. გადაიდო.

— ბათომის და ყარსის დაწესებულებანი 1-ლ ივლისიდან გაუქმებულად არის ალიარებული.

— სასამართლო პალატის შტატს გარეშე დარჩენილ მოხელეთა ჯამაგირების გადიდების პროექტი გადაეცა სახელმწიფო კონტროლიორს თავის აზრის გამოსათქმელად.

— განათლების მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა, რომ საშუალო ხატეხნიკო სასწავლებლისთვის გადაიდოს 51, 804

განცვიფრებამ უფრო დიდ საზღვარს მიაღწია, როცა იმავე მოხელეებმა, იმავ დოკუმენტების ძებნაში, მეორე ყუთში ახალი ნივთი აღმოაჩინეს. ყუთში იდო ძველებური ვერცხლის ხატი, ქართულის წარწერებით. წაკითხვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხატი წამოღებულია ტრაპიზონიდან მეფე სოლომონ მეორის საფლავიდან. ამ რიგად ეს ისტორიული ხატიც კინაღამ მსხვერპლი არ გახდა ვინმე დათხოვნილ მოხელესი.

საინტერესოა რას უპირებს საინტენდანტოს გამგეობა ამ ისტორიულ ხატს?

## გადიაური.

## ისტორიული ხატი.

## სხვა და სხვა ცნობები.

## ჩვენი საერობო პოლიტიკა.

ლიც თავისი თვისებით დონის და ინგლისის ქვანახშირს არ ჩამოუვარდება.

**თერგელ ხალხთა კავშირის მთავრობამ** შუამდგომლობა აღძრა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან, რომ თერგის მთავრობას გადაეცეს ყველა ის საბუთების ქაღალდები, რომლებიც ეხებიან დაღესტანსა და სხვა მთიელ ხალხს და რომელნიც ამ ჟამად ინახება „სანამესტნიკოს“ ყოფილ კანცელარიაში, სამხედრო ისტორიულ მუზეუმში და შტაბში.

**საქართველოს ნავთი.**

გამოირკვა, რომ საქართველოს მიწა-

წერა იყო: „მოგვეცით პური დამშეულ ბავშვებს“. მანიფესტაციის ინიციატორები დაიჭირეს.

— ნიჟნი — ნოვგოროდში შიმშილია. მცხოვრებთ პურის მაგიერ შვრია ეძლევათ, ქარხნების მდგომარეობა უნუგეშოა.

ბა. ჯარი დაახლოვებით 60,000 კაცს შეიცავს.

## უკრაინა.

## ქართული გაზეთი პეტროგრადში.

## რ უ ს ე თ ი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

შაბათს, აგვისტოს 17, საღამოს სრულ 6 საათზე, (ძველი დროით),

დანიშნულია პარტიის წევრთა

# ს ა ე რ თ ო კ რ ე ბ ა

კრების საგანია ერობის არჩევნები. წაკითხული იქნება მოხსენებები ერობის შესახებ. იქვე შეიძლება ბიულეტენების მიღება, ყველა წევრის დასწრება, ყოველ მიზეზს გარეშე, აუცილებელია.

**საგუბერნიო კომიტეტი.**

**ქუთაისის ცენტრალური კომიტეტი.**

## რუსეთიდან ჩამოსულთა საყურადღებოთ.

მათ ვსთხოვთ აგრეთვე, რომ რუსეთიდან წამოღებული გაზეთები ჩვენს რედაქციას გადმოსცენ, რისთვისაც დიდ მადლობას შევსწირავთ.

**რედაქცია.**

# ახალი ამბავი

**ქ უ თ ა ი ს ი**

**საერობო არჩევნები.** მოვაგონებთ ჩვენს პარტიის წევრებსა და თანაგრძნობთ, რომ საერობო არჩევნები ქუთაისის მაზრაში მოხდება ხვალ 18 აგვისტოს, თვითეული მო-

რიო განათლების სალაროში უნდა შეიტანოს; ეს ინდივიდუალური თვისება ჩვენი ერისა რაღაც დიდი მიუწდომელი ღირებულობის უნდა იყოს. სხვა ნაირად რა აზრი ჰქონდა ჩვენი ერის შენახვას სამი ათასი წლის განმავლობაში. ქართველ ერს რომ არ ჰქონოდა დიადი აზრი თავის არსებობისა, იგი ამდენ ხანს დაიღუპებოდა ისტორიულ ქარცეცხლში, რო-

№ 2, სამტრედიის რაიონში № 2, სვირის რაიონში № 2 ქუთაისის რაიონში № 8 და ბაღდათის რაიონში № 2. სიის ნუმრები თვითეულმა მოქალაქემ უნდა დაიმახსოვროს და თავისი ხმა უნდა მისცეს მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ დემოკრატების კანდიდატთა სიას.

◆ **ბიულეტენები.** საქ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტი აუწყებს საზოგადოებას, რომ საერობო ხმოსანთა კანდიდატების ბიულეტენების მიღება შეიძლება გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში და აგრეთვე პარტიის ყველა საუბნო კომიტეტებში.

◆ **საალყო წესები სენაკში.** ქ. ახალსენაკში გარნიზონის უფროსმა პოლკოვნიკ სრესელმა 14 აგვისტოს საალყო წესები გამოაცხადა. საალყო წესების გამოცხადება გამოიწვია ბოლშევიკების ბრბოების სენაკზე მოახლოებამ. საღამოს 9 საათიდან ქუჩებში გამოსვლა აკრძალულია.

დაყოფილია 5 საარჩევნო უბნად. ყვირილის რაიონი ირჩევს 6 ხმოსანს, თვით ქალაქი ყვირილა 1 ხმოსანს ქალაქისთვის, საჩხერის რაიონი ირჩევს 9 ხმოსანს, ჭიათურის რაიონი 9 ხმოსანს, ბელაგორის 9 ხმოსანს და ჩხარის რაიონი 9 ხმოსანს.

◆ **ლიტ. საღამო.** ხვალ 18 აგვისტოს ქ. ახალსენაკში გაიმართება დიდი ტრადიციული საღამო. საღამოზე მიწვეულია გერმანელთა სამხედრო ნაწილის წარმომადგენელები. დაუკრავს გერმანელთა სამხედრო მუსიკა.

◆ **ტყვე ქართველები გერმანეთიდან.** 15 აგვისტოს ახალსენაკის სადგურზე საგანგებო მატარებელით ქ. ფოთიდან გამოიარა გერმანეთიდან დაბრუნებულმა 200 ტყვე ქართველმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა. ამ მატარებელს თან მოჰყვებოდა ევგ. გეგეჭკორი.

**პროვინცია.**

— **ქ. ყულევი.** ამ რამოდენიმე დღის წინად აქ ჩამოვიდა რამოდენიმე ინტელეგენტი რუსი, რომლებმაც მოითხოვეს ზღვის პირას მდებარე რამოდენიმე ათეული დესეტინა მიწა ტყით, იმ მიზნით

## გ-ნი ივანე შანიძისას წერილის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბავი ჩემთვის გადმოუცია, მე სახეზე არავითარი გაოცება არ დამტყობია და არც არაფერი გამომითქვამს. მეორეჯერ რომ შემხვედრია და ამავე საგანზე ლაპარაკი დაუწყია, მე თურმე გაჩუმებულვარ.

არ ვიცი, რა ფაქტები და რა საბუთებია ეს, ან რა მნიშვნელობა აქვს მათ გ. ზდანოვიჩის მამულის გაყიდვის საქმეში!

თუ ამით ბ. ი. ფანცხავას უნდა თავზე მომახვიოს ის ბრალდება, რომ ვითომც მე ვიყავი გ. ზდანოვიჩის სახლის გაყიდვის მომხრე ან არ ვზრუნავდი, რომ იგი წ. კ. საზოგადოებას დარჩენოდა, ამის გასაბათილებლად შემიძლია თუნდაც ის ფაქტი მოვიყვანო, რომ ბანკში საჯაროთ მამულების გაყიდვის დღეს მე ვთხოვე ბ. სილოვან ხუნდაძესა და მიხეილ ჩინჩალაძეს წასულიყვნენ ბანკში, დასწრებოდენ ვაჭრობას, და ეყიდათ მამული, რომ შემდეგ წ. კ. საზოგადოებას გადასცემოდა. მე კი ბლუთქვი, ბანკში შესატან ფულებს მოგაწოდებთ მეთქი.

მაგრამ ვაჭრობა არ შესდგა და, როგორც შემდეგ გავიგეთ, მამული გაყიდულიყო.

ბოლოს არ შემიძლია ბ-ნს ი. ფანცხავას არ უსაყვედურო იმის გამო, რომ მან მე დამწამა, თითქო იგი გამგეობის კრებაზე განგებ არ მოვიწვიე, რომ მის საწინააღმდეგო და შეურაცხმყოფელი წერილი დაგვეწერა, და მე კი მას თურმე თვალები აუხვიე და კრებაზე მოუწვევლობის მიზეზი სხვა ნაირად აუხსენი.

ეს ეჭვი იმდენად ურიგოა რამდენათაც უსაბუთოა და ამის გამო ბ. ი. ფანცხავას წერილის უკანასკნელი სიტყვები არ შეიძლება მასვე არ დავუბრუნო: ბ ნო იცოდეთ რომ ყველაფრის წერა არ შეიძლება. საჭიროა სინიდისი და სხვადასხვა.

ი. ოცხელი.

## ბ. ი. წერეთელი

### ქ. ზესტაფონში

14 აგვისტოს ქ. ზესტაფონს ეწვია სოციალ დემოკრატების პარტიის და რევოლუციის ბელადი ი. წერეთელი.

უნდა აღვნიშნოთ რომ დიდ ფაცა ფუცში იყო ამ დღეს აქაური მთავრობა, დაწყებული კამისრიდან უბრალო მილიციელამდე. მთელი რაიონიდან ხალხი მოწვეული იყო. მილიციონერებს უბრძანეს რომ სახლში არავინ დარჩენილიყო, თორემ სასტიკათ დაისჯებოდა. მიუხედავათ ასეთი სასტიკი ზომებისა და „ძალათ მაცხონესა“ ხალხი ძლიერ ნაკლებათ მოვიდა. უკვე პირველი საათი იქნებოდა, როცა ხალხის მცირე ნაწილმა თავი მოიყარა. ბევრმა ზესტაფონში ჩასვლას და ტყვილა დროს გაცდენას სახლში დარჩენა და მუშაობა ამჯობინა. პირველი საათი იქნებოდა, როდესაც გამოჩნდა ეტლში მსხდომი სოციალ დემოკრატების ბელადი ბ. ი. წერეთელი, აქაური ორგანიზაციების ბელადების თანახლებით იგი ტრიბუნას უახლოვდება. ხალხი დაწყნარებულია, ამ დროს დაიგრიალა აქაურმა სოციალ დემოკრატებისგან მოწყობილმა მუსიკამ. მუსიკა შეჩერდა, ხალხი კიდევ ხმას არ იღებს. გაისმის ტაში მხოლოთ რამოდენიმე სოციალ დემოკრატებისა. კვლავ სიწყნარე ჩამოვარდა. ირაკლი წერეთელმა სიტყვა დაიწყო.

იგი შეეხო რევოლუციის საერთო მდგომარეობას, საქართველოს დამოუკიდებლობას და მის დღევანდელ მტერ-მოყვარეთ.

უკანასკნელმა საკითხმა ძლიერ დამაინტერესა, მით უფრო რომ მეგონა ს.-დემოკრატიის ბელადი სამართლიანათ და მიუდგომლათ შეეხებოდა საკითხს, მაგრამ იმედი გაცრუვდა, როდესაც მისი სიტყვა მოვისმინე. რაც შეეხება რუსის ნაციონალისტების და სომხის „დაშნაკელების“ დაფასებას სამართლიანი იყო მათი მოღალატეებათ გამოცხადება, მაგრამ თუ მიტინგზე ისინი „მოღალატეები“ არიან, ეროვნულ საბჭოში რათ უხვევენ გვერდს ამ საკითხს სოციალ დემოკრატები?

როდესაც ჯერი მიდგა ქართველ „შოვინისტებზე“ ეროვნულ-დემოკრატებზე აქ მან ყველაფერს გადააჭარბა. როგორ ცილის წამებას არ მიმართა, რაც რომელიმე პარტიის ბელადისთვის მიუტევებელ ცოდვათ უნდა ჩაითვალოს.

ბოლოს ი. წერეთელმა დემაგოგიას მიმართა და ხალხს „აუწყა“ რომ ყველაზე უსაშინელესი მტერი ჩვენთვის ეროვნულ დემოკრატები არიანო. მათ ჩვენ უნდა ვებრძოლოთ და მათ დასამარცხებლად არავითარ საშუალებას არ უნდა მოვერიდოთო.

გვიკვირს რამ აიძულა ბ. წერეთელი იაროს სოფლად და მიტინგები მართოს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ საერობო არჩევნები მოახლოვებულია. ხალხმა ს. დემოკრატებს ზურგი შეაქცია და მათ უნდათ რომ ხალხი ისევ ლამაზ-ლამაზი სიტყვებით მოხიბლონ და მიიმხრონ. მაგრამ ჩვენი ხალხი ფხიზლდება, ეს უკვე დამტკიცდა 14 აგვისტოს მიტინგზე, სადაც ხალხი ბ. წერეთელს მეტად გულცივად შეხვდა.

მაგრამ კიდევ უფრო ის გვიკვირს, რომ ბ. წერეთელი სოფლად ნიადაგს ამზადებს რომ გლეხობის ერთი ნაწილი, მეორეს მიესიოს და მის წინააღმდეგ არავითარ საშუალებას არ მოერიდოს. როდესაც ეროვნულ საბჭოში ერ.-დემოკრატების ფრაქციამ საკითხი აღძრა, რომ სოფლად ჩვენს წევრებს ავიწროებენო, სოც. დემოკრატებმა ფაქტები მოითხოვა და ჩვენ გვგონია, რომ ერთ-ერთი უმთავრეს ფაქტად ბ. ი. წერეთლის სიტყვა უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მან ხსენებულ მიტინგზე შეუგნებელი სოფლელები ერთმანეთზე მიასია.

ვ. სიქთარუელი.

## საზოგადოების საყურადღებოთ.

**(გ. ზდანოვიჩის მამულის გაყიდვის თაობაზე.)**

დასასრული იხ. „ჩვენ. ქვეყ. № 148.

ჩემდა სამწუხაროთ ეხლა ბ. ი. ბაქრაძე აქ არ არის, თორემ ისიც მოაწერდა ამას ხელს, მაგრამ მგონი, მალე ჩამოვა და ისიც ამგვარათვე მოახსენებს საზოგადოებას. თითქმის ერთი წელი გავიდა გიორგის გარდაცვალების შემდეგ, არავინ დაინტერესებულა ამ მამულით. არც სხვა მისი საქმეებით, არავინ მოსულა ჩემთან საქმის გასაცნობათ არც წინეთ, არც ბოლოს. მთელი წვალება ჩვენ შეგვხდა და ლანძღვა გინებაც არ მოგვაკლეს. რატომ? რა დავაშავეთ? რაშია ჩვენი შეცდომა? ჩემი გალანძღვა, როგორც ყოველივე პარტიის გარეშე მდგომის, თუ ადვილია და არაფერს შეადგენს, ჩემ თანამოაზრეძეს ბ. ი. ბაქრაძეს, რომელიც იყო მთელ ამ დროს ქუთაისის ფედერალისტთა პარტიის თავმჯდომარე და წ. კ. გ. ს. გამგეობის წევრი იმას რას ერჩოდენ?, როგორც ირკვევა ბ. ი. ბაქრაძე არც ჰყოლიათ სახეში და ჩემსავით იმას უდიერათ არც მოუხსენებიათ. ზოგიერთისთვის საინტერესო იყო მხოლოდ ჩემი პიროვნება, მათ ისე დაასურათეს საქმის ვითარება თითქოს მე მესარგებლოს ბ. ი. ბაქრაძის ბერლინში წასვლით, საქმე ხელში ჩამეგდოს და ისე მომეწყოს როგორც მსურდა... და ჩემი პიროვნების შებღალვას შეუდგენ... ვის დაჭირდა ეს? ვინ რა მოიგო ამით? სიმართლის დამალვა არავის შეუძლია — ის ყოველთვის ადრე თუ გვიან იჩენს თავის თავს... ბევრჯერ უნდოდათ ჩემი რაიმე სიბინძურეში ჩაფლობა, მაგრამ ყოველთვის ამაოთ, ეხლაც ასე იქნება. თუ მე სანდო პირი არ ვიყავი, ჩემი უფროსი მეგობარი გ. ზდანოვიჩი არც დამაკისრებდა მისი ნების აღსრულებას. ეხლაც ვისაც სურს, ყოველ დროს, როცა კი ინებებს, მობრძანდეს ჩემთან შავი ქვის კანტორაში და თავის თვალით შეუძლია ნახოს ყოველივე ანგარიში; დიდის სიამოვნებით მივიღებ ყველას და ყველაფერს უჩვენებ-საბუთებს, გირავნობის ფურცლებს და ფულებსაც.

ყოველივე რაც იყო ნათქვამი შეეხება საქმის მდგომარეობას, ეხლა მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო იმ კითხვას, რის გამო ატყდა ეს განგაში. ე. ი. მიზეზს, რატომ არ უნდა გაყიდულიყო გიორგის სახლი. გიორგი, როგორი საპატიო და არა ჩვეულებრივი კაცი იყო ჩვენთვის, ამას დიდი ლაპარაკი არ სჭირდება; რომ მისი ხსოვნა უნდა იყოს აღნიშნული, არც ამას უნდა დამტკიცება; მაგრამ გამოსაკვლევი კი არის კითხვა, ვინ უნდა სცეს პატივი მის ხსოვნას? ვის უფრო ევალება ამ საქმის მოგვარება? პირველად ყოვლისა ჩემის აზრით ეს საკითხი უნდა იკისროს ფედერალისტთა პარტიამ, რომლის დამაარსებელი და ლიდერი იყო გიორგი, პარტიის მერე კი შავი ქვის მრეწველთა საბჭომ, ამათ შემდეგ კი ყველა მისი პატივცემულმა და მათ შორის წერა კით. გ. საზოგადოებამ, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს უკვე აქვს მიღებული ზომები. თუ ეს ზომები ჯერ-ჯერობით არ არის განხორციელებული, ამის ბრალია მხოლოთ ის პირობები, რომელიც ეხლა არსებობენ, ამ მხრით შავი ქვის საბჭოს საყვედური არ ეთქმის. ფედერალისტთა პარტიამ კი რა გააკეთა? ნუ თუ ფედერალისტთა პარტიას იმით უნდოდა მოვალეობა მოეხსნა, რომ წ. კ. გ. ს. გამგეობისათვის დაევალებინა გიორგის დავალიანებული მამული შეერჩინა, არ გაეყიდა და თავის საქმეები ამით გაერთულებია? ამაში გამოიხატება პარტიიდან გიორგის ხსოვნის პატივისცემა? რა გააკეთა პარტიამ ამ საქმისთვის ეს ერთი წელიწადი? ნუ თუ ამდენ ხანში ეს საკითხი პარტიას არ უნდა ქონოდა გამორკვეული? ნუ თუ ფედერალისტთა პარტიამ არ იცოდა, რომ გიორგი ძლიერ დავალიანებული იყო? ეს ხომ მთელმა ქუთაისმა იცოდა. ნუ თუ პარტიას არ გახსენებია, რომ მევალეებს შეეძლო მისი ქონების აწერა და გაყიდვა? ნუ თუ პარტია ერთ წელიწადში არ უნდა გაცნობოდა საქმეს, არ უნდა მოეთხოვა ჩვენგან ანდერძის პირი, თუ მათ გიორგის საქმეები და მისი მამული აინტერესებდა? ნუ თუ პარტიას არ უნდა ცოდნოდა, რომ მანსვეტაშვილის ვექილი ბ. ლ. ბახტაძე ჩვენ სასამართლოთი გვემუქრებოდა და ჩვენ ეს უსიამოვნება დიდის წვალებით თავიდან ავიცდინეთ? ან და ეგების პარტიას ეგონა, რომ ეს ყოველივე წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის მოვალეობაა, და თითონ თავს არ იწუხებდა? ნუ თუ პარტიას არ აქვს გამორკვეული, რომ ამგვარი მოთხოვნილება წ. კ. გ. საზოგადოებისადმი არ არის სამართლიანი? წ. კ. გ. საზოგადოება არის უპარტიო ორგანიზაცია; საზოგადოებას არ აქვს უფლება, რომ ვინმეს პატივსაცემათ ისეთ საქმეს მოკიდოს ხელი, რომელიც საზოგადოებისათვის იქნება საზარალო; ამიტომ იყო, რომ მე სამართლიანათ ჩავთვალე აზრი ქუთაისის განყოფილების და მთავარ გამგეობისა, რომ ნაანდერძევის მიღება მათ არ შეეძლოთ, სანამ ნამდვილი ფინანსიური მდგომარეობა არ იქნებოდა გამორკვეული. ამ ნიადაგზე რომ ვილაპარაკოთ გამოდის რომ ყველაზე უფრო ამ საქმეში დამნაშავეა ფედერალისტთა პარტია, მაგრამ ამით საქმე არ გაფუჭებულა, ცოტა დროა დაკარგული მხოლოთ, საქმის გამოსწორება ეხლაც შეიძლება თუ პარტია გამოიჩენს უნარს და საქმიანობას. ბ. კიკნაძე თანახმაა მამული უკან დააბრუნოს, თუ მას ფულებს დაუბრუნებენ. ამ გვარათ საქმე ისევ ფულების ფარგალში ტრიალებს. საჭიროა 140 ათასი მანეთი. ვინ უნდა გამოიღოს ეს ფული? როგორც ზევით მოგახსენეთ წ. კ. გ. ს. გამგეობას ამის უფლება არ აქვს; ამისთვის მან უნდა მოიწვიოს საზოგადო კრება აქაც და თბილისში და უნდა გადაწყვეს საკითხი გაიცეს ფული თუ არა? მე მგონი საზოგადო კრება არსებულ პირობებში ამის თანახმა არ იქნება; ამიტომ ამ საქმეს უნდა შეუდგეს ისევ ფედერალისტთა პარტია; თუ პარტია მოინდომებს ამ საქმისთვის ფულის შეგროვებას შეუძლებელი საქმე არ არის; პარტიის გარდა გიორგის პატივის მცემელი ბევრი არიან. ყველა გამოიღებს თავის წვლილს და მამულიც დაბრუნდება; მერე კი შეიძლება გადაწყდეს, რა დანიშნულება მიეცეს ამ მამულს; ამ რიგათ საქმე იქნება მოწყობილი და დამთავრებული. სხვა გზა კი ჩემი აზრით არ არის.

მეტი სათქმელი ჯერ არაფერი მაქვს.

პატივისცემით ალ. დარახველიძე.

## ანგარიში.

**ქ. შ. წ. კ გამავრცელებელი საზოგადოების სენ კის განყოფილების გამგეობის მიერ გამართულ სეირნობისა.**

29 ივნისს 1918 წელს ქალაქ სენაკის ბაღში წ. კითხ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების გამგეობამ გამართა დიდი სახალხო სეირნობა თავისი ნივთიერი საშუალებათა გასაძლიერებლად. სეირნობის ანგარიში შემდეგია: 1) კერძო შემოწირულებანი ფულათ 591 მ. 5 კ., 2) ყულაბებით შეგროვილი 572 მ. 17 კ., 3) ბაღში შესასვლელი ბილეთების გაყიდვიდან 2316 მ. 25 კ., 4) ჩაი და ბუფეტიდან 1473 მ. 35 კ., 5) ფოსტა-ყვავილებიდან 153 მ. 80 კ., 6) შემოწირულ ნივთების ლატარეაში გათამაშებიდან 978 მ. 10 კ., 7) აუქციონიდან 209 მ., 8) ვახშმიდან 607 მ. და 9) სხვა და სხვა კულტურულ გასართობებიდან 422 მ. 50 კ. სულ 7323 მ. 22 კ. — გასავალი: 1) მუსიკას 700 მ., 2) ჩაი და ბუფეტის მასალებში 648 მ. 10 კ., 3) აფიშების დაბეჭვდაში 58 მ., 4) ვახშმის სანოვაგის და მის მოწყობაში 332 მ. 25 კ., 5) ბაღის მოწყობის და მის განათებაში 245 მ. 15 კ. სულ 1983 მ. 50 კ. მაშასადამე მთელი შემოსავალი იყო 7323 მ. 22 კ., გასავალი 1983 მ. 50 კ., დარჩა წმიდა შემოსავალი 5339 მანეთი 72 კ.

საზოგადოების სენაკის განყოფილების გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის როგორც შემომწირველთ, აგრეთვე ყველა იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და თავისი შრომით დახმარება აღმოუჩინეს მას სეირნობის გამართვაში.

ვსთხოვთ სხვა ქართულ გაზეთებსაც ეს ანგარიში გადაბეჭდონ.

გამგეობის თავმჯდომარე **ოლღა ხოფერიასი.**

მდივანი **მღ. გ. გამზარდია.**

---

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

---

## მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

1918 წ. 10 მარიამობისთვიდან

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით

**ქ. ქუთაისს მოდის.**

თბილისიდან.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პირდაპირი № | 9 | დილის | 5 საათ. | 30 წ. | |
| საფოსტო | 3 | დღის | 8 — | 30 — | |
| სამგზავრო — | 23 | საღამოს | 8 — | 10 — | |

**ფოთ-ბათომიდან.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სამგზავრო № | 24 | დღის | 2 საათ. | 20 წ. |
| საფოსტო — | 3 | ღამის | 10 — | 18 — |

**ტყიბულიდან.**

საფოსტო № 3 დილის 8 საათ. და 15 წ.

**ქუთაისიდან გადის.**

თბილისისაკენ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პირდაპირი № | 10 | საღამოს | 8 საათ. | 25 წ. |
| სამგზავრო — | 24 | ღამის | 12 — | 40 — |
| საფოსტო | 4 | დილის | 8 | 45 — |

**ფოთ-ბათუმისკენ.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფოსტო № | 3 | დილის | 7 საათ. | 10 წ. |
| სამგზავრო — | 23 | საღამოს | 6 — | 40 — |

**ტყიბულისკენ.**

საფოსტო № 4 დღის 4 საათ. — —

სწრაფმბეჭდავი სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა